

„მატო თელავთან“ მისასვლელი გზის რეაბილიტაცია,  
ელექტროენერჯის, წყლის მიწოდებისა და  
საკანალიზაციო სისტემების მოწყობა, თელავის  
მუნიციპალიტეტი

გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი და გარემოზე  
ზემოქმედების მართვის გეგმა

ფინანსდება მსოფლიო ბანკის მიერ

რეგიონალური განვითარების პროექტი

კერძო-საჯარო პარტნიორობა (PPP)

## ქვე-პროექტის აღწერა

ქვე-პროექტი ითვალისწინებს არსებული გზის რეაბილიტაციას, რომელიც მდებარეობს სოფელ სანიორეში, თელავის რეგიონში. საპროექტო ნაწილი 1230 მ მთლიანი სიგრძით არის თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის გზის მარჯვენა შეერთება. სავალი გზის სიგანე 6 მეტრამდეა.

მთავარი სამშენებლო სამუშაოები მოიცავს:

- მოსამზადებელ სამუშაოებს;
- გზის საფარის მოწყობას;
- გზის აღჭურვილობის, ნიშნებისა და მონიშვნების მოწყობას;
- ენერჯის მიმწოდებელი სისტემის რეაბილიტაციას;
- წყლის მიწოდებისა და საკანლიზაციო სისტემების რეაბილიტაციას.

### (ა) ზემოქმედების იდენტიფიცირება

<p>აქვს თუ არა ქვე-პროექტს საგრძნობი ზემოქმედება გარემოზე?</p>	<p>ქვე-პროექტს აქვს საგრძნობი დადებითი სოციალური ზემოქმედება.</p>
<p>რა მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედებები ექნება ქვე-პროექტს გარემოზე?</p>	<p>ქვე-პროექტს აქვს გარემოზე ხანგრძლივი დადებითი ზემოქმედება სოფელ სანიორეში ადგილობრივი მოსახლეობისა და ვიზიტორების საცხოვრებელი და გადასადგილებელი პირობების გაუმჯობესებით. ეს შეამცირებს არსებულ უარყოფით ზემოქმედებას საზოგადოებაზე, როგორცაა მტვერი, ემისია, ვიბრაცია და ხმაური.</p> <p>მოსალოდნელი უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება სავარაუდოდ იქნება მოკლევადიანი და დამახასიათებელი მცირე/საშუალო სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ურბანულ ლანდშაფტში: ხმაური, მტვერი, ვიბრაცია და ემისია სამშენებლო მანქანა-დანადგარებიდან; სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა; ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა გადაადგილების დროებითი შეზღუდვა.</p>
<p>შეიძლება თუ არა, რომ ქვე-პროექტს</p>	<p>მიწის შესყიდვა ან განსახლება არ არის მოსალოდნელი.</p>

<p>გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობასა და ზემოქმედების ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?</p>	<p>ხანგრძლივი სოციალური ზემოქმედება იქნება დადებითი (ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და ტურისტთა ნაკადის ზრდა, კერძო სექტორის ინვესტიციების მოზიდვა ტურისტული ინფრასტრუქტურისთვის(სასტუმროები,ბარები,რესტორნები,შოპინგი,გართობა და ა.შ.)</p> <p>ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობა გაიზრდება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროექტის განხორციელებისას(დროებითი შემოსავლის გენერირება);</li> <li>• პროექტის განხორციელების შემდეგ აღდგენილი ინფრასტრუქტურის შენარჩუნება/შეკეთებისას(გრძელვადიანი შემოსავლის დაგროვება)</li> <li>• ტურისტულ კომპანიებში (სასტუმროები,ბარები,რესტორნები,შოპინგი,გართობა,ა.შ.);</li> </ul> <p>უარყოფითი ზემოქმედება არის მოკლევადიანი და შეზღუდულია სამშენებლო ტერიტორიის ფარგლებში. ისინი დაკავშირებულია ზემოთ აღწერილ შესაძლო შემაწუხებელ ფაქტორებთან.</p>
<p>რა სახის ზემოქმედება აქვს ქვე-პროექტს ადამიანთა ჯანმრთელობაზე?</p>	<p>სატრანსპორტო პირობების გაუმჯობესება სოფელ სანიორეში სარგებელს მოუტანს როგორც ადგილობრივ მოსახლეობს, ისე ვიზიტორებს. წყლის მიწოდების გაუმჯობესებული სანიტარული პირობები გააუმჯობესებს ტყუპების მარანში საცხოვრებელ და სანიტარულ პირობებს;</p> <p>მცირე ნეგატიური ზემოქმედება დაკავშირებულია მტვერთან, ემისიებთან, ხმაურთან და ვიბრაციასთან სამშენებლო პერიოდის განმავლობაში.</p>

(ბ) შემამსუბუქებელი ზომები

<p>ქვე-პროექტის დიზაინის რა ალტერნატივები იქნა განხილული და ზემოქმედების შერბილების რა ღონისძიებებია შემოთავაზებული?</p>	<p>გამომდინარე იქიდან, რომ ქვე-პროექტი ითვალისწინებს არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, რაიმე სხვა ალტერნატივა არ განხილულა.</p> <p>სამშენებლო სამუშაოების განხორციელებით გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენის შერბილება შეგვიძლია სამშენებლო მოედნის დემარკაციით, საგზაო მოძრაობის მართვით, სამშენებლო ტექნიკის სათანადო მოვლა-პატრონობით, სამუშაო საათების დაწესებით, ნარჩენების კარგად ორგანიზებული განთავსება ფორმალურად შეთანხმებულ ადგილას.</p>
<p>წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა</p>	<p>მგფ-ს ფართო გამოცდილება აქვს სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული საშუალო და დიდი მასშტაბის გზებისა და ქუჩების რეაბილიტაციის ქვე პროექტების განხორციელებაში. წინა მსგავსი პროექტების</p>

<p>გათვალისწინებული ქვე-პროექტის დიზაინში?</p>	<p>განხორციელების გამოცდილებებიდან მიღებული ცოდნის საფუძველზე პროექტი ითვალისწინებს არა მარტო გზის საფარის რეაბილიტაციას, არამედ სანიაღვრე არხების და მილების მოწყობას, ტროტუარების, ქვეითთა გადასასვლელების, განათების, გზის მონიშვნის და სხვა მოწყობილობებს, რაც გაზრდის საგზაო და ქვეითთა უსაფრთხოებას.</p>
<p>ჩართული იყო თუ არა დაინტერესებული თემები ქვე-პროექტის მომზადების პროცესში და გათვალისწინებული იქნა თუ არა მათი ინტერესები და ცოდნა სათანადოდ?</p>	<p>N/A</p>

**(D) კატეგორიზაცია და დასკვნა**

სკრინინგის დასკვნაზე დაყრდნობით,

ქვე-პროექტი კლასიფიცირებულია როგორც გარემოსდაცვითი კატეგორია

- A.
- B.
- C.

გარემოსდაცვითი სკრინინგის დასკვნა:

- 1. ქვე-პროექტი უარყოფილია
- 2. ქვეპროექტი მიღებულია

მიღების შემთხვევაში, და რისკის შეფასების საფუძველზე, ქვე-პროექტის მომზადება მოითხოვს:

- 1. მმცირემასშტაბიანი სამშენებლო და სარეაბილიტაციო საქმიანობების გარემოსდაცვითი ღონისძიებების

- საკონტროლო სიის შევსებას
2. გარემოზე ზეგავლენის განხილვას,
- გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მომზადების ჩათვლით

**ქვე-პროექტის რისკის შეფასება**

მგრძობიარე რეცეპტორები ბუნებრივ და სოციალურ გარემოში ქვეპროექტის ტერიტორიაზე	დიახ/არა?	მნიშვნელოვანი შესაძლო ზეგავლენა/მაღალი რისკი (მონიშვნა)	მცირე შესაძლო ზეგავლენა/ დაბალი რისკი (მონიშვნა)
ბუნებრივი ჰაბიტატები, მყიფე ეკოსისტემა	დიახ	ტყეები; დაჭაობებული ადგილები; საბუდარი. გამრავლების ადგილები; გადამფრენი ფრინველების დასასვენებელი ადგილები; ველური ფაუნის დამაკავშირებელი დერეფნები დაცულ არეალში; ციცაბო ფერდობები; ალპური და სუბალპური ზონები; მწვანე მდელოები	ძლიერად გარდაქმნილი ურბანული და სოფლის ლანდშაფტები, ინდუსტრიული ადგილები, ყოფილი სამრეწველო მიწები
ზედაპირული წყლები	არა	მთავარი მდინარეები და გარშემო ჭალები; ტრანსსასაზღვრო წყლები და მათი შენაკადები, ტბები, პატარა წყლები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი მოსახლეობისა და ბიომრავალფეროვნებისთვის	პატარა მდინარეები და ნაკადულები, ხელოვნური წყალსაცავები, ტბორები, რომლებიც არ არის განსაზღვრული როგორც მაღალი ღირებულების მქონე მოსახლეობის და ბიომრავალფეროვნებისთვის

		N/A	N/A
მიწისქვეშა წყაროები	არა	რეგიონული / ეროვნული მნიშვნელობის საბადოები , მინერალური ან / და თერმული წყლის რესურსები, გრუნტის წყლების მაღალი დონე (მაგიდა)	გრუნტის წყლების ნორმალური დონე
		N/A	N/A
ფასეული ლანდშაფტები	არა	დაცული ლანდშაფტები, გამორჩეული ესთეტიკური ღირებულების ლანდშაფტები, მწვანე მდელოები, რეკრეაციული ზონები	ძლიერად ტრანსფორმირებული ქალაქის ან სოფლის ლანდშაფტები, ინდუსტრიული ადგილები, მეორადი განაშენიანების ადგილები
		N/A	N/A
ფიზიკური კულტურული რესურსები	არა	კულტურული ძეგლების ინდივიდუალური თუ საერთო დაცვის ზონები, ისტორიული და ტრადიციული ადგილები (რელიგიური, სამარხი, რიტუალი)	არ არის კულტურული რესურსები
		N/A	N/A
ადამიანთა დასახლებები	არა	20-ზე მეტი დაზარალებული ოჯახი; საჭიროა ფიზიკური რელოკაცია	20 ზე ნაკლები დაზარალებული ოჯახი; ფიზიკური რელოკაცია საჭირო არ არის, მიწის აღება საჭირო არ არის
		N/A	N/A
გეოლოგიური საფრთხეები: ძლიერი ეროზია,	არა	რეგისტრირებული	არარეგისტრირებული
		N/A	N/A

მეწყერები, წყალდიდობა			
<p>თუ ქვეპროექტის მოსალოდნელი რისკი მაღალია რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი შეფასების კრიტერიუმის მიხედვით, იგი მაღალი რისკის ქვე-პროექტად მიიჩნევა. უნდა ჩატარდეს გარემოსდაცვითი მიმოხილვა და შემუშავდეს გარემოსდაცვითი მართვის გეგმა.</p> <p>თუ ქვე-პროექტის მოსალოდნელი რისკი არ არის მაღალი, რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი შეფასების კრიტერიუმის მიხედვით, იგი დაბალი რისკის ქვე-პროექტად მიიჩნევა. უნდა შეივსოს გარემოსდაცვითი მართვის საკონტროლო სია (Checklist) მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო აქტივობებისთვის</p>			

### ქვე-პროექტის სოციალური სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების სკრინინგისათვის		დიახ	არა
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვე-პროექტის ობიექტების მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი არ ჩაითვლება დასრულებულად თუ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი)	X	
2	ქვე-პროექტის განხორციელება შეზღუდავს თუ არა მოსახლეობის ხელმისაწვდომობას სამეურნეო რესურსებზე, როგორცაა მიწა, საძოვრები, წყალი, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რაზეც მოსახლეობაა დამოკიდებული?		X
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების ადგილმონაცვლეობას ან იქნება თუ არა საჭირო მიწის ნაკვეთის შეძენა (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად) ?		X
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბელელი, გარე ტუალეტები, სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?		X
<p>თუ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა პირველი შეკითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ უნდა ამოქმედდეს OP/BP 4.12 საოპერაციო პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP 4.12-ისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.</p>			
კულტურული რესურსების უსაფრთხოების სკრინინგის ინფორმაცია		დიახ	არა
5	საჭიროებს თუ არა პროექტი მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს?		X
<p>თუკი პასუხი კითხვაზე 5 არის „დიახ“, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას <b>OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები</b> და შემთხვევით მოპოვებული მასალების მართვა უნდა განხორციელდეს OP/BP-სა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტში მოცემული პროცედურების შესაბამისად.</p>			



## გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

**ნაწილი B: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ**

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები	
ქვეყანა	საქართველო
ქვე-პროექტის დასახელება	„მატო თელავთან“ მისასვლელი გზისა და ენერჯის მიწოდების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია
ქმედებების მოცულობა ქვე-პროექტის ფარგლებში	<p>ქვე-პროექტი ითვალისწინებს არსებული გზის რეაბილიტაციას სოფელ სანიორეში, თელავის რეგიონში. ქვე-პროექტი ასევე ითვალისწინებს ელ-მომარაგების სისტემის მოწყობას, წყლისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაციას.</p> <p>სარეაბილიტაციო გზის საერთო სიგრძეა 1230 მ-ს წარმოადგენს თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის გზის მარჯვენა შეერთებას. სავალი გზის სიგანე დაახლოებით 6 მეტრია. ზემოთ ხსენებული გზის ნაწილის რეაბილიტაცია მოიცავს ახალი ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობას და არსებული სადრენაჟო სისტემის რეაბილიტაციას, რომელიც ძლიერ დაზიანებულია და მწყობრიდან არის გამოსული.</p> <p>მთავარი სამშენებლო სამუშაოები მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოსამზადებელ სამუშაოებს;</li> <li>• გზის საფარის მოწყობას;</li> <li>• გზის აღჭურვილობის, ნიშნებისა და მონიშვნების მოწყობას;</li> <li>• ენერჯის მიწოდებელი სისტემის რეაბილიტაციას;</li> <li>• წყლის მიწოდებისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაციას.</li> </ul> <p>ელ-მომარაგების სამუშაოების რეაბილიტაცია ითვალისწინებს არსებული ელექტრო კაბელების შეცვლას ახლით და ახალი ტრანსფორმატორის დამონტაჟებას.</p>

	<p>წყლის მიწოდების სისტემის რეაბილიტაცია ითვალისწინებს არსებული შიდა წყლის მიწოდების ქსელის შეკეთებას და დაზიანებული მიწების შეცვლას (საერთო სიგრძე - 600 მ).</p> <p>საკანალიზაციო სისტემის მოწყობა მოიცავს ახალი საკანალიზაციო მიწებისა და საკანალიზაციო წყლების გამწმენდი ნაგებობების დამონტაჟებას.</p>			
<p>ინსტიტუციონალური ორგანიზება (სახელი და კონტაქტები)</p>	<p>მსოფლიო ბანკი საპროექტო ჯგუფის ლიდერი აჰმედ აივეიდა</p>	<p>პროექტის მენეჯმენტი მგვ</p>	<p>უსაფრთხოების ზედამხედველი მგვ ნინო პატარაშვილი</p>	<p>ადგილობრივი წარმომადგენელი თელავის მუნიციპალიტეტი</p>
<p>განხორციელების ორგანიზება (სახელი და კონტაქტები)</p>	<p>უსაფრთხოების ზედამხედველობა მსოფლიო ბანკი დარეჯან კაპანაძე გარემო</p>	<p>სამუშაოთა ზედამხედველი: Joint Venture of STEGET srl (Italy), (Leading Partner) &amp; ESTIA srl (Italy), (Partner) &amp; SWS Engineering S.P.A. (Italy), (Sub-consultant) &amp; GDP Consultants (Italy), (Sub-consultant) &amp; Studio SANI (Italy), (Sub-consultant)</p>	<p>ადგილობრივი ზედამხედველი: თემურ გოგიაშვილი თელავის მუნიციპალური გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის სპეციალისტი</p>	<p>სამუშაოთა კონტრაქტორი: შ.პ.ს სერპენტინი</p>
<p><b>ადგილმდებარეობის აღწერა</b></p>				
<p>ადგილის სახელი</p>	<p>სოფელი სანიორე</p>			
<p>ადგილის მდებარეობის აღწერა</p>	<p>პროექტის განხორციელების ადგილი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის რეგიონში, თელავის მუნიციპალიტეტში. სამუშაოების ადგილზე წვდომა თბილისიდან შესაძლებელია თბილისი-თელავის საავტომობილო გზით. მანძილი თბილისიდან დაახლოებით არის 150 კმ.</p>			

<p>ვინ არის მიწის ნაკვეთის მფლობელი?</p>	<p>სახელმწიფო</p>
	<p>სოფელი სანიორე მდებარეობს თელავის მუნიციპალიტეტში, კახეთის რეგიონში, აღმოსავლეთ საქართველოში.</p> <p>ის კახეთის რეგიონისა და თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია. ის მდებარეობს გომბორის მთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობის ძირზე, ალაზნის ველზე, ზღვის დონიდან 550-800მეტრზე.</p> <p>თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბევრი მდინარეა. მთავარი მდინარეა ალაზანი. მისი მარცხენა შენაკადებია ინწობა ,ჩელტი, დურუჯი, ბურსა, შოროხევი და სხვა მდინარეები.</p> <p>ერთერთი მთავარი რესურსი თელავის მუნიციპალიტეტში არის ეკოლოგიურად სუფთა სასმელი წყალი.</p> <p>მდინარე დურუჯის კალაპოტში არის შეუზღუდავი გამოუყენებელი მასალები, რომლებიც ხასიათდება გამძლეობის მაღალი ხარისხით, რომლიდანაც შესაძლებელია უნიკალური სამშენებლო მასალების და საყოფაცხოვრებო აღჭურვილობის დამზადება.</p>
<p>მასალების, მათ შორის ინერტული მასალისა და წყლის მიწოდების წყაროების მდებარეობა და დაშორება ქვე-პროექტის განხორციელების ადგილიდან</p>	<p>ადგილობრივი სამშენებლო მასალების ტრანსპორტირების საშუალო მანძილი იქნება დაახლოებით 10 კმ.</p> <p>სამშენებლო მოედანზე სამუშაოებისთვის საჭირო წყლის მომარაგება მოხდება წყლის ავზეებიდან. ხოლო, დასაღვეად ვარგისი წყლით მომარაგება პლასტმასის ბოთლებით მოხდება.</p> <p>ამოღებული მასალების ნაწილი უკან ჩაიყრება და დამატებითი მასალები მოწოდებული იქნება ლიცენზირებული კარიერებიდან-განსაზღვრული მანძილი 5-10 კმ.</p> <p>სამშენებლო ნარჩენები განთავსდება თელავის მუნიციპალიტეტის ნაგავსაყრელზე.</p>
<p><b>კანონმდებლობა</b></p>	
<p>ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ქვე-პროექტის ქმედებების განხორციელებისათვის საჭირო ნებართვები</p>	<p>მსოფლიო ბანკის პოლიტიკისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის თანახმად ქვე-პროექტი კლასიფიცირდა, როგორც დაბალი რისკის B კატეგორიის პროექტი. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობა არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, დამტკიცებას ან ნებართვას.</p> <p>ეროვნული კანონმდებლობის თანახმად:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>(i) სამშენებლო მასალები შექმნილი უნდა იქნეს ლიცენზირებული მომწოდებლისაგან;</li> <li>(ii) კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ინერტული მასალის მოპოვებისათვის (თუ თავად გადაწყვეტს მოპოვებას, ნაცვლად შექმენისა);</li> </ul>

	<p>(iii) კონტრაქტორი ვალდებულია მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში ბეტონის კვანძისათვის და შეათანხმოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, თუ ბეტონს აწარმოებს თავად (ნაცვლად შექმნისა);</p> <p>(iv) სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსება ან მიწის სამუშაოებისას წარმოქმნილი ინერტული მასალების დროებითი დასაწყობება განსაზღვრულ ადგილზე შეთანხმებული უნდა იქნეს ადგილობრივ(მუნიციპალურ) მთავრობასთან წერილობით.</p> <p>სამშენებლო კომპანია შ.პ.ს. „სერპანტინმა“ წარმოადგინა შემდეგი:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ასფალტის წარმოების ნებართვა;</li> <li>2. ინერტული მასალების მოპოვების ნებართვის ასლი</li> <li>3. წერილი თელავის მუნიციპალიტეტიდან სამშენებლო ნარჩენების განთავსების შესახებ.</li> </ol> <p>დაცული უნდა იქნეს GOST და SNIP ნორმები.</p>
<b>დანართები</b>	
<p><b>დანართი 1.</b> ასფალტის წარმოების ნებართვა და სამშენებლო მასალების მოპოვების ლიცენზია</p> <p><b>დანართი 2.</b> ინერტული მასალების მოპოვების ლიცენზიის ასლი</p> <p><b>დანართი 3.</b> ასფალტის წარმოების ნებართვა</p>	

**ნაწილი C: ინფორმაცია გარემოსდაცვითი უსაფრთხოების შესახებ**

გარემოსდაცვითი/სოციალური სკრინინგი			
	ქმედება/საკითხი	სტატუსი	შემარბილებელი ღონისძიებები
მოიცავს თუ არა ქვე-პროექტი რომელიმე მითითებულ ქმედებას/საკითხს?	A. რეაბილიტაცია	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილიA
	B. ახალი მშენებლობა	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილიA
	C. ნარჩენი წყლების გადამუშავების ინდივიდუალური სისტემა	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილიB
	D. ისტორიული შენობ(ებ)ა და რაიონები	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილიC
	E. მიწის შექმენა <sup>1</sup>	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილიD
	F. საშიში ან ტოქსიკური მასალები <sup>2</sup>	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილიE
	G. ზემოქმედება ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილიF
	H. სამედიცინო ნარჩენების დამუშავება/ მენეჯმენტი	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილიG
	I. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილიH

<sup>1</sup>მიწის შესყიდვა მოიცავს ადამიანთა გადასახლებას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების შელახვას - ეს ეხება მიწებს, რომელიც შექმნილი/გადაცემულია და ამ ქმედებას გააჩნია ზემოქმედება იმ ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრობენ ან/და სახლობენ ან/და აწარმოებენ ბიზნესს (სავაჭრო ერთეულებს) შექმნილ მიწაზე.

<sup>2</sup>ტოქსიკური/ საშიში მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი მასალებით: აზბესტი, ტოქსიკური საღებავები, მავნე ზემოქმედების მქონე გამხსნელები, ტყვიის შემცველი საღებავის მოშორება და ა.შ.

**ნაწილი D: შემარბილებელი ღონისძიებები**

ქმედებები	პარამეტრი	ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებები საკონტროლო ჩამონათვალი
ზოგადი პირობები	ინფორმირება და უსაფრთხოება	<p>(a) ინფორმაცია მომავალი სამუშაოების შესახებ მიწოდებული უნდა იქნეს ადგილობრივი სამშენებლო და გარემოს დაცვის ინსპექციებისათვის და თემისათვის;</p> <p>(b) ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იქნეს დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მედიაში და / ან საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ადგილებში (სამუშაოების განხორციელების ადგილის ჩათვლით) შესაბამისი შეტყობინების განთავსების გზით;</p> <p>(c) მოპოვებული უნდა იქნეს მშენებლობისათვის და/ ან რეაბილიტაციისათვის საჭირო ყველა ნებართვა;</p> <p>(d) კონტრაქტორი უნდა იქნეს თანახმა, რომ სამუშაოები განხორციელდება უსაფრთხო და მოწესრიგებული გზით, მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობასა და გარემოზე მინიმალური ზემოქმედების უზრუნველყოფით;</p> <p>(e) მუშათა პირადი დამცავი აღჭურვილობა შესაბამისობაში უნდა იქნეს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან (სამუშაოების შესრულების დროს მუშებს უნდა ეხურათ ჩაფხუტები, საჭიროების შემთხვევაში ეკეთათ ნიღბები, დამცავი სათვალე, უსაფრთხოების ქამრები და ჩექმები);</p> <p>(f) მუშათა ინფორმირების მიზნით უსაფრთხოების ძირითადი წესები და რეგულირებები განთავსებული უნდა იქნეს შესაბამის მაჩვენებლებზე სამუშაოთა განხორციელების ადგილებზე.</p>
ზოგადი სარეაბილიტაციო და / ან სამშენებლო ქმედებები	ჰაერის ხარისხი	<p>(a) ინტერიერის დემონტაჟისას ნამსხვრევები შეიძლება გამოყენებული იქნეს პირველ სართულზე.</p> <p>(b) დემონტაჟის შედეგად წარმოებული ნარჩენების შენახვა უნდა მოხდეს კონტროლირებად ტერიტორიაზე და აუცილებელია მისი წყლით დასველება, ნარჩენების მტვრის შემცირების მიზნით;</p> <p>(c) პნევმატური ბურღვის/კედლის ჩამონგრევის დროს წარმოებული მტვრის ჩახშობა უნდა განხორციელდეს წყლის შესხურებით და/ან მტვრისგან დამცავი ეკრანის მოწყობით;</p> <p>(d) აუცილებელია, რომ გარემომცველი გარემო (ტროტუარები, გზები) თავისუფალი იყოს სამშენებლო ნარჩენებისგან, მტვრის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით;</p> <p>(e) სამშენებლო ტერიტორიაზე არ უნდა მოხდეს სამშენებლო ნარჩენების დაწვა - ღია სახით;</p> <p>(f) სამშენებლო ტერიტორიაზე არ უნდა იყოს სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების გადამეტებული - არამიზნობრივი მოძრაობა;</p>
	ხმაური	<p>(a) მშენებლობით გამოწვეული ხმაურის შეზღუდვა მოხდება ნებართვაში მითითებული შეთანხმებული დროის შესაბამისად;</p> <p>(b) მუშაობის დროს აუცილებელია გენერატორების, საჰაერო კომპრესორების და სხვა ელ. მექანიკური აღჭურვილობის ძრავების სახურავების დახურვა, ხოლო აღჭურვილობის განთავსება უნდა მოხდეს დასახლებული პუნქტებიდან მოშორებით;</p>
	წყლის ხარისხი	<p>(a) აუცილებელია ეროზიისა და ნალექების ისეთი მაკონტროლებელი ღონისძიებების გატარება, როგორცაა მაგ. თივის ზვინები და/ან ლამის შემოღობვები, იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ნალექების სამშენებლო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გადასვლა, რამაც შესაძლოა ზედმეტად აამღვრიოს მახლობლად მდებარე მდინარეები და ნაკადულები;</p>

	<p>ნარჩენების მართვა</p>	<p>(a) საჭიროა ნარჩენების შეგროვების და გადაყრის გზების და ტერიტორიების იდენტიფიკაცია ყველა ძირითადი სახეობის ნარჩენებისთვის, რომელიც მოსალოდნელია სადემონტაჟო და სამშენებლო საქმიანობის პროცესში;</p> <p>(b) მინერალური სამშენებლო და დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების სეპარაცია მოხდება ძირითადი, ორგანული, სითხის და ქიმიური ნარჩენების შესაბამისად, სამშენებლო ტერიტორიაზე მათი დახარისხებით და შესაბამის კონტეინერებში განთავსებით;</p> <p>(c) სამშენებლო ნარჩენები სათანადოდ შეგროვდება და განთავსდება ლიცენზირებული შემგროვებლის მიერ.</p> <p>(d) ნარჩენების გატანის ამსახველი ჩანაწერები წარმოადგენს მათი სათანადო მართვის საფუძველს;</p> <p>(e) შესაძლებლობის შემთხვევაში, კონტრაქტორი ხელმეორედ გამოიყენებს და გადაამუშავებს შესაბამისი სიცოცხლისუნარიანობის მქონე მასალებს (აზბესტის გარდა).</p>
<p>სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება</p>	<p>სამშენებლო საქმიანობის სახიფათო პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ფეხით მოსიარულეებზე</p>	<p>a) ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად კონტრაქტორი უზრუნველყოფს, რომ სამშენებლო ტერიტორია შესაბამისად დაცულია და მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის ოპერირება რეგულირებულია. ეს მოიცავს მაგრამ არ არის ლიმიტირებული შემდეგით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ განთავსებული უნდა იქნეს მოძრაობის გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის მარშრუტის ცვლილების ნიშნები. საზოგადოება გაფრთხილებული უნდა იყოს ყველა შესაძლო საშიშროების შესახებ;</li> <li>▪ უნდა ჩამოყალიბდეს მოძრაობის მართვის სისტემა და ჩატარდეს თანამშრომელთა ტრენინგი, განსაკუთრებით ტერიტორიაზე შესვლასა და ტერიტორიის მახლობლად მძიმე ტექნიკის გადაადგილების შესახებ. ფეხით მოსიარულეთათვის უნდა მოეწყოს უსაფრთხო გადასასვლელები იმ ადგილებში, სადაც მოძრაობს სამშენებლო ტექნიკა;</li> <li>▪ სამუშაო საათები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის განრიგთან, მაგ: ინტენსიური გადაზიდვები არ უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პერიოდში ან საქონლის გადაადგილების საათებში.</li> <li>▪ საგზაო მოძრაობის აქტიური მენეჯმენტი გამოცდილი და ხილული პერსონალით, საჭიროების შემთხვევაში უსაფრთხო და მოსახერხებელი გადასასვლელი საზოგადოებისთვის.</li> <li>▪ სარემონტო სამუშაოებისას უსაფრთხო და განგრძობითი წვდომა საოფისე შენობებთან, მაღაზიებთან და საცხოვრებლებთან, თუ შენობები დარჩება ღია საზოგადოებისთვის.</li> </ul>

**ნაწილი E: გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა**

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულად უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
<b>სამშენებლო ფაზა</b>						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შექმნა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლის ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მომწოდებლის კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების მდგომარეობა; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით; ტრანსპორტირებისას ვის განკუთვნილი დროისა მარშრუტების დაცვა.	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შემცირება; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა; ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის მინიმუმამდე შემცირება.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საპატრულო პოლიცია



<p>მიწის სამუშაოები</p>	<p>ამოღებული მასალის დროებითი განთავსება წინასწარ განსაზღვრულ და შეთანხმებულ ადგილზე; ამოღებული გრუნტის უკუჩაყრა და/ან განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე; შემთხვევითი აღმოჩენების შემთხვევაში, სამუშაოების დაუყოვნებლივ შეწყვეტა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინფორმირება და სამუშაოების განახლება მხოლოდ სამინისტროსგან წერილობითი თანხმობის მიღების შემდეგ.</p>	<p>სამშენებლო ტერიტორია</p>	<p>ინსპექცია</p>	<p>მიწის სამუშაოები სას</p>	<p>სამშენებლო ტერიტორია და მისი შემოგარენის დაცვა სამშენებლო ნარჩენებით დაბინძურებისაგან; ფიზიკური და კულტურული რესურსების დაზიანების და დაკარგვის თავიდან აცილება</p>	<p>მგფ, მშენებლობის ზედამხედველი,</p>
<p>ინერტული მასალების წყარო</p>	<p>მასალების შექმნა არსებული, ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია; სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება კონტრაქტორის მიერ და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა; კარიერების დაყოფა ტერასებად, დამუშავებული ადგილების რეაბილიტაცია და ლანდშაფტთან ჰარმონიზება; მდინარეში ქვიშა-ხრემის მოპოვება წყლის ნაკადის გარეთ, დამცავი</p>	<p>კარიერები</p>	<p>დოკუმენტებისა და სამუშაოების ინსპექტირება</p>	<p>ინერტული მასალის მოპოვების პერიოდში</p>	<p>ეროზიის შემცირება და ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების დეგრადირების მინიმიზაცია; სედიმენტებით წყლის დაბინძურების, ასევე ჰიდრობიონტთა საარსებო პირობების დარღვევის შემცირება.</p>	<p>მგფ, მშენებლობის ზედამხედველი</p>

	ბარიერების მოწყობა ექსკავაციის ადგილსა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია მანქანების შესვლა					
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.	სამშენებლო ტერიტორია ;	ინსპექტი რება	პერიოდულ ად მშენებლობი ს პროცესში და პრეტენზიებ ის შემთხვევაშ ი	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორი ების მყარი ნარჩენებისა გან დაბინძურე ბის თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედვე ლი,
ტრანსპორ ტის მომრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულ ეთა მიმოსვლის შეზღუდვა	სატრანსპორტო მომრაობის შეზღუდვის/მომრაო ბის მიმართულების შეცვლის ნიშნების განთავსება; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დროებითი განთავსება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული სატრანსპორტო საცობები მისასვლელ გზებზე.	სამშენებლო და მიმდებარე ტერიტორიე ბი	ინსპექტი რება	სამშენებლო სამუშაოები ს პერიოდში	სატრანსპო რტო შემთხვევები ს თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედვე ლი
მუშების ჯანმრთელ ობა და უსაფრთხო ება	მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა; მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭ ურვილობასთან მუშაობისას	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტი რება	გაუფრთხიე ლებელი შემოწმება სამუშაოები ს მსვლელობი სას	უბედური შემთხვევებ ის თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედვე ლი

	ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული წესები/ინსტრუქციების მკაცრი დაცვა					
<b>საოპერაციო ფაზა</b>						
რეზილიტ ირებული გზისა და სადრენაჟო სისტემის მოვლა	საგზაო უსაფრთხოებისთვის გზის საიდენტიფიკაციო ნიშნების დამონტაჟება; არსებული ქუჩის მონაკვეთების დემარკაცია - შეკეთების პროცესში; ასფალტის და/ან სხვა ნარჩენების გატანა მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ტერიტორიიდან გამოყოფილ ნაგავსაყრელზე. სადრენაჟო სისტემის პერიოდული გაწმენდა ლამისა და მყარი ნარჩენებისგან.	რეზილიტ ირებული გზები	ინსპექტი რება	მოვლა-პატრონობის პროცესში	საგზაო შემთხვევების და სატრანსპორტო მოძრაობის დარღვევის თავიდან აცილება	თელავის მუნიციპალიტეტი
განათების ინფრასტრუქტურის ტექნიკური მოვლა	კაბელებისა და სხვა ელექტრული აღჭურვილობის კარგი ტექნიკური მდგომარეობა	განათებულ ქუჩები	ინსპექტი რება	სისტემის მუშაობის განმავლობაში	თავიდან აცილება ადამიანთა დაზიანებების	თელავის მუნიციპალიტეტი
ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო მიმოსვლის შეზღუდვა	საგზაო ნიშნების განთავსება	რეზილიტ ირებული გზა	ინსპექტი რება	სისტემის მუშაობის განმავლობაში	ადგილობრივი მოსახლეობის შეწყუბების შემცირება	თელავის მუნიციპალიტეტი

დანართი 1

წერილი თელავის მუნიციპალიტეტიდან სამშენებლო ნარჩენების განთავსების შესახებ

საქართველო  
თელავის  
მუნიციპალიტეტის  
გამგებობა



GEORGIA  
TELAVI MUNICIPALITY  
ADMINISTRATION

№ 234

„12“ „04“ 2013 წ.

შ.პ.ს სსს კომპანია „სერპანტინი“-ს დირექტორს  
ბატონ ზ. ფეიქრიშვილს

თქვენი მ/წ 28 მარტის N28/03-1 მომართვის პასუხად უფლება გვძლევით  
სამშენებლო ნარჩენები და ნაგავი განათავსოდ არსებულ ქ. თელავის ნაგავსაყრელზე მდ.  
„თურდო“-ს აღმოსავლეთით სოფ. ვარდისუბნის ტერიტორიაზე.

პატივისცემით,

გამგებლის მოვალეობის

შემსრულებელი

ზურაბ ყურაშვილი

დანართი 2

ასფალტის წარმოების ნებართვა

  
 საქართველოს მთავრობის დადგენილება  
 და პუნდის რეგულირების საბჭოს გადაწყვეტილება  
 მთავრობის დადგენილება № 00211  
 2004 წლის 10 თვის 04 ნომერი

1. გარემოს დაცვის და ზემოქმედების მართვის სამსახურის  
 სახელმძღვანელო კომისიის შემადგენელი

2. გარემოს დაცვის სამსახურის  
 მეთვალყურეობის განყოფილება

3. გარემოს დაცვის სამსახურის  
 მეთვალყურეობის განყოფილების  
 მეთვალყურეობის განყოფილება

4. გარემოს დაცვის სამსახურის  
 მეთვალყურეობის განყოფილება  
 ფილიალი

5. გარემოს დაცვის სამსახურის  
 მეთვალყურეობის განყოფილება  
 მეთვალყურეობის განყოფილება

6. გარემოს დაცვის სამსახურის  
 მეთვალყურეობის განყოფილება  
 მეთვალყურეობის განყოფილება

7. გარემოს დაცვის სამსახურის  
 მეთვალყურეობის განყოფილება  
 მეთვალყურეობის განყოფილება

გარემოს დაცვის და ზემოქმედების მართვის  
 სამსახურის მეთვალყურეობის განყოფილება


დირექტორის და  
 მეთვალყურეობის განყოფილების  
 უფროსის  
 ნიკოლოზ ჭახნაიას


დირექტორის და  
 მეთვალყურეობის განყოფილების  
 უფროსის  
 ნიკოლოზ ჭახნაია

დანართი 3

ბუნებრივი სამშენებლო მასალების მოპოვების ნებართვის ასლი

  
საქართველო  
ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო  
საერთო სამართლის ადვოკატული კაბი  
ბუნებრივი რესურსების სააგენტო  
სამარეგულიო წესდებულების მოპოვების დოკუმენტი

№ 1000812

2012 წლის 11 თვეში  
(დოკუმენტის თქმისას სააგენტოში რეგისტრაციის თარიღი)

დოკუმენტი № 33, საბინაო სამშენებლო სამუშაოების შესახებ სპეციალური ნებართვის მქონე  
ს.კ. 231-365-329,  
(ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს  
საერთო სამართლის ადვოკატული კაბის სააგენტოს მიერ)

სააგენტო სამინისტროს შემოწმებისა და ხელმოწერის თარიღის საფუძველზე  
სააგენტოს დასაბუთების თარიღის 2012 წლის 11 თვეში № 1000812-საგენტოს

დოკუმენტი ეფუძვლება ტერიტორიის მფლობელის და ვარიანტი სამსახურს  
შენიშვნები: 1. სპეციალური ნებართვის მფლობელია სააგენტოს მიერ.  
სპეციალური ნებართვის მფლობელია სააგენტოს მიერ.  
სპეციალური ნებართვის მფლობელია სააგენტოს მიერ.

სამარეგულიო რესურსების სამინისტროს სააგენტოს  
სპეციალური ნებართვის მფლობელია სააგენტოს მიერ.  
(სპეციალური ნებართვის მფლობელია სააგენტოს მიერ.)

სააგენტოში მოქმედებს  
სააგენტოს მიერ მოწოდებული სააგენტოს მიერ მოწოდებული ნებართვის მფლობელია სააგენტოს მიერ.  
სააგენტოს მიერ მოწოდებული ნებართვის მფლობელია სააგენტოს მიერ.

დოკუმენტის მფლობელია სააგენტოს მიერ. სააგენტოს მიერ მოწოდებული ნებართვის მფლობელია სააგენტოს მიერ.  
სააგენტოს მიერ მოწოდებული ნებართვის მფლობელია სააგენტოს მიერ.

დოკუმენტის მფლობელია სააგენტოს მიერ. სააგენტოს მიერ მოწოდებული ნებართვის მფლობელია სააგენტოს მიერ.  
სააგენტოს მიერ მოწოდებული ნებართვის მფობელია სააგენტოს მიერ.

სააგენტოს მიერ მოწოდებული ნებართვის მფლობელია სააგენტოს მიერ. სააგენტოს მიერ მოწოდებული ნებართვის მფობელია სააგენტოს მიერ.

სააგენტოს მიერ მოწოდებული ნებართვის მფლობელია სააგენტოს მიერ. სააგენტოს მიერ მოწოდებული ნებართვის მფობელია სააგენტოს მიერ.

სააგენტოს მიერ მოწოდებული ნებართვის მფობელია სააგენტოს მიერ. სააგენტოს მიერ მოწოდებული ნებართვის მფობელია სააგენტოს მიერ.



საქართველო  
 ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო  
 საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
 ბუნებრივი რესურსების სააგენტო  
 სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

№ 1000445

2012 წლის 29 იანვარს  
 (ლიცენზიის ეფექტიან ლიცენზიის რეგისტრის გადართვის თარიღი)

გაემუხლები კ.ა. სასაქონლო სამართლებრივი ინტერესების საპროტექციო სსიპ  
 ს/ა 231-165-529

(საქართველოში ფარგლებში მდებარეობს / კონკრეტულად, მოსაუბრის შესახებ)

სააგენტო სასაქონლო სამართლებრივი ინტერესების საპროტექციო სსიპის საპროტექციო განყოფილება  
 სსიპ სასაქონლო სამართლებრივი ინტერესების საპროტექციო სსიპის შტაბის 2012 წლის 25 იანვარს, №13/41 და  
 2012 წლის 29 იანვარს, №13/47 და სასაქონლო სამართლებრივი ინტერესების საპროტექციო სსიპის  
 განყოფილება სასაქონლო სამართლებრივი ინტერესების საპროტექციო სსიპის 2007 წლის 08 აპრილის №1071 პროცესის

ლიცენზიის გათვალისწინებული ტერიტორიის მდებარეობა და ფართობი: 3366500  
 მ26000კვადრატული მეტრი, 30 კვადრატული კმ, ს/ა 231-165-529

K-38-80-A-a-6000კვადრატული მეტრი, 6000კვადრატული მეტრი (საპროტექციო სასაქონლო სამართლებრივი ინტერესების  
 სსიპის და სასაქონლო სამართლებრივი ინტერესების საპროტექციო სსიპის) - 0,72 კმ

შესაბამებელი რეგისტრის სახისა და მოცულობა:  
 30000, ს/ა 231-165-529, 21 500 კვადრატული მეტრი

სალიცენზიო პირობები:  
 განსაზღვრულია სასაქონლო სამართლებრივი ინტერესების საპროტექციო სსიპის სასაქონლო სამართლებრივი ინტერესების  
 2007 წლის 08 აპრილის №1071 პროცესის

ლიცენზიის მოქმედების ვადი - 5 წელი 29.02.2012 და 09.08.2012-მდე

სსიპ სასაქონლო სამართლებრივი ინტერესების საპროტექციო სსიპის



ს/ა

გვეყვანი ლიცენზიის მიწოდების და ვადის ამოწმების შესახებ



ს/ა

დამკვეთი: სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტო  
 დანიშნულება: შპს „კაბდონი“  
 სსიპ-ს რეგისტრაციის № 34-322

